აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2018 წლის 19 თებერვალი

აბაშა

„აბაშის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №58 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.110.016321) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება

1. დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული „აბაშის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს – განსაკუთრებული დამსახურებისთვის საქართველოს და აბაშის მუნიციპალიტეტის წინაშე ან/და აბაშის მუნიციპალიტეტთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.“

2. ამავე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კანდიდატურის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ფორმით, რასაც თან უნდა ერთოდეს:

ა) რეკომენდაცია წარდგენილი კანდიდატის ღვაწლის და დამსახურების აღნიშვნით;

ბ) ბიოგრაფიული მონაცემები;

გ) წარდგენილი კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და კანდიდატის 2 (ორი) ფოტოსურათი-ზომით 3X4; (კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა და ფოტოსურათების წარდგენა შუამდგომლისგან მოთხოვნილ იქნეს სამუშაო ჯგუფის დადებითი დასკვნის მერის მიერ განხილვის ეტაპზე და წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ კანდიდატის თანხმობით)“.

3. ამავე წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „დ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — **მამუკა კვიტაშვილი**